# კარაბადინი

*„კარაბადინის“ რუბრიკისთვის განკუთვნილ მკითხველთა უამრავ წერილს გაზეთის ფორმატი ვერ იტევს. ამიტომ გადავწყვიტეთ, ეს წერილები ჟურნალში „ოჯახის მკურნალი“ გამოვაქვეყნოთ რუბრიკით — „დავეხმაროთ ერთმანეთს“. შეკითხვები რედაქციაში „კვირის პალიტრის“ ყუთების მეშვეობით საქართველოს ყველა კუთხიდან შემოდის. მათში ხალხში ნაცადი უამრავი რეცეპტია აღწერილი. ასე რომ, ხალხური მედიცინის მოყვარულებს ვურჩევთ, შეიძინონ „ოჯახის მკურნალი“ და გამოიყენონ მკითხველის მიერ მოწოდებული რჩევები.*

საშარდე გზებში კენჭები გამიჩნდა. დიდხანს მაწუხებდა ტკივილი წელის არეში. მკურნალობა შედეგს დროებით მაძლევდა, მალე ისევ მეწყებოდა ტკივილი. ხან კენჭის გავლა მქონდა, ხანაც ქვიშის. ბოლოს მივხვდი, რომ ეს დაავადება ჩემი ორგანიზმის თავისებურება იყო და თავად უნდა მეპოვა გამოსავალი. დავიწყე მცენარეული საშუალებების ძებნა. საუკეთესო შედეგი ამ რეცეპტმა მომცა:

ნახევარლიტრიან ქილაში შუამდე ჩაყარეთ წვრილად დაჭრილი ხახვი, აავსეთ არყით და 10 დღით სითბოში დადგით. მერე გაფილტრეთ. მიიღეთ ნაყენი დღეში 2-ჯერ, თითო სუფრის კოვზი ჭამის წინ. სვით, ვიდრე არ გათავდება.

ამ ნაყენის მიღება 5 წლის წინ დავიწყე და მას შემდეგ პერიოდულად ვსვამ. აღარც კი მახსოვს, რა არის შარდკენჭოვანი დაავადება.

*გ. გ., თქვენი მკითხველი*

*ექიმის კომენტარი:* ხახვი მდიდარია ბიოაქტიური ნივთიერებებით. განსაკუთრებით ეთეროვანი ზეთით, ფიტონციდებით, რომელსაც ბაქტერიციდული მოქმედება აქვს. ლორწოვანი სუბსტრატი, რომელიც ხახვის შეწვისას გამოიყოფა, ანტიალერგიული ეფექტით ხასიათდება. გარდა ამისა, ხახვი ასტიმულირებს სპერმის გამოყოფას, ზრდის სქესობრივ პოტენციას, გამოიყენება ათეროსკლეროზისა და ჰიპერტონიული დაავადების სამკურნალოდაც. ხახვი მდიდარია ვიტამინებით (C ვიტამინი, პროვიტამინი A, $B_1$, $B_2$, PP ვიტამინები). ხახვისგან დამზადებულ ჰომეოპათიურ პრეპარატებს წარმატებით იყენებენ დამწვრობების, ჭრილობების, გაცივების, ალერგიის, გულ-სისხლძარღვთა დაავადებების, თირკმელ-კენჭოვანი პათოლოგიის სამკურნალოდ.



# შეკითხვა ექიმს

*რედაქციაში უამრავი წერილი მოდის, რისთვისაც ულრმეს მადლობას მოგახსენებთ. გაზეთის მცირე ფორმატი ვერ იტევს ყველა შეკითხვას, ამიტომ ზოგიერთ მათგანზე პასუხს იხილავთ ჟურნალ „ოჯახის მკურნალის“ ფურცლებზე, ასევე თქვენთვის საინტერესო უამრავ კითხვაზე პასუხს ნახავთ სამედიცინო ინტერნეტჟურნალში* **www. mkurnali.ge** *— ამიერიდან საიტზე შეგიძლიათ გამოგზავნოთ კითხვები, რომლებსაც ექიმი უპასუხებს. თუმცა მათ, ვისაც ინტერნეტსაიტით სარგებლობის საშუალება არ გაქვთ, კითხვები გამოგზავნეთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთის მეშვეობით.*

— რა იწვევს ღამე, ძილში კბილების კრაჭუნს და როგორ შეიძლება ამ პრობლემის მოგვარება?

*გმადლობთ, ირინა გ.*

— კბილების კრაჭუნი-ბრუქსიზმი საკმაოდ გავრცელებული პრობლემაა. იგი უპირატესად ღამით ვლინდება ხოლმე, დღისით კი ადამიანის კონტროლს ექვემდებარება. ზუსტი გამომწვევი მიზეზი უცნობია. ადრე ფიქრობდნენ, რომ ბრუქსიზმი ჭიებით ინვაზიას უკავშირდებოდა, მაგრამ ამის დამადასტურებელი მეცნიერული მონაცემები არ არსებობს. ბრუქსიზმი უხშირესად ბავშვებში გვხვდება და 7-8 წლის ასაკში თავისთავად გაივლის ხოლმე, თუმცა შედარებით იშვიათად, მაგრამ მაინც აღინიშნება უფროსებშიც.

თანამედროვე მონაცემებით, ბრუქსიზმის გამომწვევ ძირითად მიზეზად სახელდება თანკბილვის დარღვევა და ნევროლოგიური პათოლოგიები.

თანკბილვის დარღვევის შემთხვევაში საჭიროა სტომატოლოგის კონსულტაცია. შემდეგ პაციენტს ენიშნება პირშიდა დამცველი რეზინის კაპა ან რბილი პლასტიკატის აპლიკატორი, რომლებიც კბილებს შორის ფიქსირდება და იცავს მათ ტრავმირებისგან. თანაც, ეს დამცავი მოწყობილობები არ იცვითება და ამცირებენ კრაჭუნის ხმას. დამატებითი მკურნალობის სახით ექიმმა შეიძლება დანიშნოს კალციუმის, მაგნიუმის და B ჯგუფის ვიტამინების შემცველი პრეპარატები. ამ მიკროელემენტებითა და ვიტამინებით ორგანიზმის გაჯერება შეამცირებს სალეჭი კუნთების უნებლიე შეკუმშვებს ძილში. ნევროლოგიური პრობლემების გადასაჭრელად ნევროლოგს უნდა მიმართოთ (თუ ბრუქსიზმი უეცრად განუვითარდა ზრდასრულ ადამიანს, აუცილებლად უნდა გამოირიცხოს ღამის ეპილეფსია და თავის ტვინის დაავადებები).

თუ დააკვირდებით, ბრუქსიზმის ინტენსივობა მატულობს სტრესულ სიტუაციაში, ამიტომ უნდა ერიდოთ ასეთ სიტუაციებს.

# შეხების მაგია

ყოველთვის კარგად რომ გამოიყურებოდეთ, დილა-საღამოს 10-წუთიანი მასაჟი გაიკეთეთ.

*დაძაბულობას მოგიხსნით* — ორივე ხელის თითები დაიწყვეთ შუბლის შუაში, მსუბუქი დაწოლით თითები გადააადგილეთ საფეთქლებისკენ. გაიმეორეთ 6-ჯერ.

*შუბლზე ნაოჭები გაქრება* — საჩვენებელი თითებით დააწექით მთელ სიგრძეზე წარბებს და მსუბუქად გადაუსვით.

*წარბებს შორის (ცხვირის ფუძიდან) ნაოჭები გაქრება,* — შუათითით დააწექით ნაოჭებს და საათის ისრების მიმართულებით წრიული მოძრაობით გაიკეთეთ მასაჟი ერთი წუთის განმავლობაში.

*წითელი ფერ-უმარილის ნაცვლად* — ორივე ხელის თითებით წრიული და ნელი მოძრაობით გაიკეთეთ ლოყებისა და ნიკაპის მასაჟი — ქვევიდან ზევით.

# ბაბუაწვერას სიკეთე

*ნაღვლის ბუშტისა და სანაღვლე გზების დაავადებების დროს:* 2 ჩ/კ სამკურნალო ბაბუაწვერას დაასხით 1 ჩ/ჭ მდუღარე წყალი და 8 საათი გააჩერეთ. კარგად გაფილტრეთ. სვით 1/4 ჩ/ჭ 3-4-ჯერ დღეში, ჭამამდე ნახევარი საათით ადრე.

*შარდკენჭოვანი, გასტრიტის, პოდაგრისა და ათეროსკლეროზის დროს:* 10გ ბაბუაწვერას დაქუცმაცებულ ფესვებს დაასხით 1ჩ/ჭ მდუღარე წყალი, გააჩერეთ 2 საათი. გაწურეთ და მიიღეთ 1/3 ჩ/ჭ ნაყენი 3-ჯერ დღეში, ჭამამდე 15 წუთით ადრე.

*დიაბეტის დროს:* 1 ჩ/კ ბაბუაწვერას ფესვებს დაასხით 200 მლ მდუღარე წყალი, 20 წუთი გააჩერეთ, გაწურეთ და მიიღეთ 1/3 ჩ/ჭ ნაყენი დღეში 3-4-ჯერ ჭამამდე ნახევარი საათით ადრე.

*ფურუნკულისა და კანზე გამონაყრის დროს:* 1 ს/კ ბაბუაწვერას ფესვებს დაასხით 1ჩ/ჭ ცხელი წყალი და 15 წთ ადუღეთ ნელ ცეცხლზე. გააცივეთ და გაწურეთ მარ-



ლაში. მიიღეთ 1/3 ჩ/ჭ ჭამამდე 25 წუთით ადრე 3-ჯერ დღეში.

*ართრიტის დროს:* 6გ ბაბუაწვერას ღერო-ფოთლებსა და ფესვებს დაასხით 1 ჩ/ჭ წყალი, 10 წუთი ადუღეთ, 1/2 საათი გააჩერეთ, კარგად გაწურეთ და სვით 1ს/კ ნახარში 3-ჯერ დღეში ჭამამდე.

*ნაღველკენჭოვანი და შარდკენჭოვანი დაავადებების დროს:* 2 ს/კ ბაბუაწვერას ფესვებს დაასხით 1/2ლ მდუღარე წყალი და 10 წუთით ადუღეთ ნელ ცეცხლზე. გააჩერეთ 2 საათი. მიიღეთ 0,5ჩ/ჭ 3-4-ჯერ დღეში, ჭამამდე ნახევარი საათით ადრე.

*ჰიპერტონიის დროს:* 10გ ბაბუაწვერას ყვავილს დაასხით 1ჩ/ჭ ცივი წყალი, 15 წუთი ადუღეთ ნელ ცეცხლზე, გაწურეთ. მიიღეთ 1ს/კ ნახარში 4-ჯერ დღეში.

*ალერგიის საწინააღმდეგო ნაყენი:* შეურიეთ ერთმანეთს ფქვილისებურად დაქუცმაცებული ბაბუაწვერას და ოროვანდის ფესვები. 2 ს/კ ნარევს დაასხით 600მლ წყალი და მთელი ღამე გააჩერეთ. დილით 10 წუთი ადუღეთ და კიდევ 10 წუთი გააჩერეთ, გაწურეთ და მიიღეთ 1/2 ჭიქა ნაყენი 5-ჯერ დღეში, ჭამის წინ.

*არარეკომენდებულია* ბაბუაწვერას მიღება კუჭის წყლულის, ჰიპერციდული გასტრიტის, თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულის, კუჭის წვენის მომატებული მჟავიანობის დროს და მათთვის, ვისაც ხშირად ეშლება კუჭი.

# პრეპარატ „კამელინზე“ კლინიკური კვლევებით გამყარებულმა დასკვნებმა სრულიად დააკმაყოფილა ექიმთა საზოგადოების ინტერესი

საქართველოს ექიმთა პოსტდიპლომური განათლების ასოციაციამ, რომლის პრეზიდენტია პროფესორი ალექსანდრე თელია, ვიცე პრეზიდენტი პროფესორი გურამ დავითაია, ხოლო სამეცნიერო დირექტორი — პროფესორი ბორის კორსანტია, 2013 წლის 8-18 თებერვალს დაბა ბაკურიანში ჩაატარა პირველი პოლიპროფილური საერთაშორისო სამედიცინო კონფერენცია, რომელშიც ფარმაცევტულ კომპანიებთან და სამედიცინო ცენტრებთან ერთად ფარმაცევტულმა კომპანია „კამელინმაც“ მიიღო აქტიური მონაწილეობა. გვესაუბრება კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სრული პროფესორი, აკადემიური დოქტორი ფარმაციაში **ციცინო გაგნიძე.**

— კონფერენცია იყო მასშტაბური, მასში მონაწილეობას იღებდნენ სამედიცინო ცენტრების წამყვანი სპეციალისტები, ადგილობრივი და უცხოური ფარმაცევტული კომპანიის წარმომადგენლები, რომლებიც წარდგნენ თემატური მოხსენებებითა და პრეზენტაციებით. მოწვეულ სტუმრებს შორის იყვნენ პარლამენტის წარმომადგენლები, აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროდან მინისტრის მოადგილეები. კონფერენციის მიზანი გახლდათ ქვეყანაში კლინიკური მედიცინის სხვადასხვა სპეციალობებსა და სუბსპეციალობებში საერთაშორისო სტანდარტებისა და გაიდლაინების დამკვიდრების ხელშეწყობა და სპეციალისტთა შორის პრაქტიკული გამოცდილების გაზიარება. მოგეხსენებათ, საქართველოში „კამელინის“ იმუნომამოდულირებელი თვისება კლინიკური კვლევების საფუძველზე (ტუბერკულოზის, დამწვრობით გამოწვეული პათოლოგიების და სტომატოლოგიური დაავადების დროს) შეისწავლა თსსუ-ს სამედიცინო ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტის იმუნორეაბილიტაციის განყოფილების გამგემ, პროფესორმა ბორის კორსანტიამ, რომელიც ამავე დროს გახლავთ საქართველოს ექიმთა ასოციაციის სამეცნიერო დირექტორი. ბატონი ბორისის შემოთავაზების საფუძველზე ფარმაცევტული კომპანია „კამელინი“ ჩაერთო ბაკურიანში გამართულ კონფერენციაში. 11 თებერვალს, თავად ბატონმა ბორისმა წარადგინა პრეზენტაცია პრეპარატ „კამელინის“ ავტორისდროინდელ და 2004 წლიდან თანამედროვე კლინიკურ და ექსპერიმენტულ კვლევებზე მსოფლიოს უდიდეს სამეცნიერო და სამედიცინო ცენტრებში. კონფერენციაზე წარმოდგენილი იყო თსსუ-ის ფარმაცევტული ფაკულტეტის, ფარმაცევტული და ტოქსიკოლოგიური ქიმიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორის, ფარმაცევტ თამაზ მურთაზაშვილის მიერ წარმოებულ ინვიტრო კვლევაზე მოხსენება „კამელინის სამკურნალო ფორმების ანტიოქსიდანტური აქტივობა“, ასევე თსსუ-ის დოქტორანტის, სტომატოლოგ ირმა კაჭკაჭიშვილის „კამელინის ეფექტურობა და სტომატოლოგიური ჯანმრთელობის გავლენა სიცოცხლის ხარისხზე“ პრეზენტაციის წარდგენა. მე, როგორც ფარმაციის სპეციალისტმა ვისაუბრე პრეპარატ „კამელინის“ ხუთივე ფორმის ფარმაკოლოგიურ ჩვენებებსა და პრევენციულ ღონისძიებებზე სხვადასხვა დაავადებასთან მიმართებაში. „კამელინის“ სუბსტრატზე წამლის სხვა ფორმების შექმნამ, ასევე ორგანიზმში შეყვანის ახალმა მეთოდებმა მნიშვნელოვნად გააფართოვა ამ პრეპარატის კლინიკური გამოყენების სფერო. ჩემმა პრეზენტაციამ დიდი ინტერესი გამოიწვია დამსწრე ექიმთა საზოგადოების მხრიდან, მოხსენებამ მიიღო დისკუსიის ფორმა, პრეპარატ „კამელინზე“ ჩატარებულმა ადგილობრივმა კლინიკური კვლევებით გამყარებულმა შედეგებმა და დასკვნებმა სრულიად დააკმაყოფილა მათი ინტერესი.

***მარინა გორგოლაძე, ოფთალმოლოგი.*** 9 წლის წინ დამიდგინდა ფიბრომატოზულ-კისტოზური მასტოპათია, საჭირო იყო ოპერაციული ჩარევა, მაგრამ ქალბატონმა გუგულიმ (პრეპარატ „კამელინის“ ავტორის მეუღლემ) მომაწოდა პრეპარატი „კამელინი მ1“ — ინიექცია. ერთი თვის შემდეგ დიაგნოსტიკის საფუძველზე კვანძები აღარ დაფიქსირდა, სწორედ ამ ფაქტმა განაპირობა ის, რომ დღეს ქალაქ ბათუმში გახლავარ კომპანია „კამელინის“ ექიმი-კონსულტანტი. ჩვენს ქალაქში სხვადასხვა დაავადების დროს კმაყოფილ პაციენტთა რაოდენობა დიდია. შესანიშნავი შედეგები აღინიშნება ოტოლარინგოლოგიაში, გინეკოლოგიაში, კერატიტების დროს ოფთალმოლოგიაში, რევმატული, სწორი ნაწლავის (სანთლების სახით) და ონკოდაავადების დროს, ასევე პროფილაქტიკური თვალსაზრისით, როგორც შესანიშნავი იმუნომოდულატორი. მე, როგორც ექიმი, თამამად ვურჩევ პაციენტს აღნიშნული პრეპარატით მკურნალობას, განსაკუთრებით, კომპლექსურ თერაპიასთან ერთად!

***პ. კ. საჩხერე*** — ქრონიკული პროსტატიტი. ჩაიტარა ანტიბაქტერიული თერაპიის, ფიტოთერაპიისა და ფიზიოთერაპიის კურსი. შემდეგ ექიმის რჩევით გადაწყვიტა „კამელინის“ ინიექციით და სანთლებით დაეწყო მკურნალობა. ჩაიტარა მკურნალობის 2 კურსი. ულტრაბგერითი კვლევების საფუძველზე პაციენტს დაუფიქსირდა პროსტატის მოცულობის შემცირება და ლეიკოციტოზის ნორმალიზაცია. მდგომარეობა სტაბილურია ცვლილებების გარეშე. ***ვ. კ. ამბროლაური — ყელის კიბო,*** მკურნალობს „კამელინის“ კაფსულებითა და სპრეით, მესამე წელია კარგად გრძნობს თავს. ***უ.გ. ახალგორი — ფილტვის სიმსივნე,*** მეორე წელია მდგომარეობა სტაბილური და საიმედოა.

***ნ.მ. თბილისი — მკერდის ავთვისებიანი სიმსივნე,*** ოპერაციის შედეგად მოკვეთილი იქნა მკერდი, ამის შემდგომ კი მოხდა მეტასტაზების განვითარება, ქიმიოთერაპიის შემდეგ პაციენტმა დაიწყო მკურნალობა „კამელინით“, მესამე წელია მდგომარეობა სტაბილური და საიმედოა, წელიწადში ორჯერ იტარებს კამელინოთერაპიას კაფსულებითა და სანთლებით. ***მ.კ. საჩხერე — მწვავე ბუასილი,*** წლების განმავლობაში უჩიოდა ყაბზობას, ტკივილებს დეფეკაციის დროს, მკურნალობდა სხვადასხვა პრეპარატით, „კამელინის“ სანთლების გამოყენებით მოხერხდა სწრაფი თერაპიული ეფექტი, ყოველგვარი გვერდითი მოვლენების გარეშე, ჩივილების სრული კუპირება და გამოჯანმრთელება.

P.S ქართული წარმოების 5 ფორმის პრეპარატი „კამელინ მ1“ ინიექცია, „კამელინ მ2“ კაფსულა, „კამელინ მ3“ მალამო, „კამელინ მ 4“ სანთლები და „კამელინფლუ“ სპრეი გამოიყენება სიმსივნური დაავადებების, ვირუსული და ბაქტერიული ინფექციების, გინეკოლოგიური, პროქტოლოგიური, სახსრების დეგენერაციულ-დისტროფიული და სხვა დაავადებების დროს.

***მოამზადა მაია ცომაიამ***

**კამელინთან დაკავშირებულ საკითხებზე ინფორმაციის მიღება და კონსულტაცია უფასოა, დარეკეთ: 2-98-57-78; 2-93-20-87; 2-98-62-25 (ოფისი); 2-45-33-68; 2-22-26-68; 2-75-04-08; 599-33-10-89; 599-58-09-07; 577-73-56-51; 599-23-03-33** www. camelyn.ge R